**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი №61**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 26/11/2019 წ
სხდომის დაწყების დრო 16:09 სთ
სხდომის დამთავრების დრო 17:58 სთ
**საბჭოს თავმჯდომარე** - ქეთევან ქოქრაშვილი
**სხდომის მდივანი** - სალომე თოთიბაძე

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი; **(საბჭოს თავმჯდომარე)**;

2. ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

3. სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

4. ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

5. მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

6. სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი;

7. თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე;

8. ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

9. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

10. ანა ფირცხალაშვილი - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, პროფესორი;

11. დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი.

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

| № | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | თორნიკე ბაქაქური | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი |
| 2 | დალი გურასპაშვილი | იურიდიული სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს სპეციალისტი |

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

| № | სახელი, გვარი | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| 1 | გელა სვირავა | სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | პროფესორი | I |
| 2 | ლაშა ნარსია | სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | ასოცირებული პროფესორი | I |
| 3 | ნინო მაქაცარია | სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | ასოცირებული პროფესორი | I |
| 4 | მაია გონაშვილი | სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | პროგრამის თანახელმძღვანელი | I |
| 5 | თეონა ხუფენია | სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | რექტორი | I |
| 6 | ქეთევან ლატარია | სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | ფაკულტეტის დეკანი | I |
| 7 | მერაბ ნაჭყებია | სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი | II |

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8 | მარინა ჯღარკავა | სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ქართულ ენაში მოსამზადებელი პროგრამის მასწავლებელი | II |
| 9 | მადლენა ოჩიგავა | სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 1+4 პროგრამის ხელმძღვანელი | II |
| 10 | ქეთევან მარგიანი | სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი | II |
| 11 | რომეო გალდავა | სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | II |
| 12 | მანანა გაბაშვილი | ა(ა)იპ - ჯიპა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილე | III |
| 13 | ელენე ბერიძე | ა(ა)იპ - ჯიპა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი | III |
| 14 | ანა ჩუთლაშვილი | ა(ა)იპ - ჯიპა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი | III |
| 15 | ნესტან ციციშვილი | ა(ა)იპ - ჯიპა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი | III |
| 16 | ხათუნა ბერაია | ა(ა)იპ - ჯიპა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი | III |
| 17 | დავით წასიძე | ა(ა)იპ - ჯიპა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი | III |
| 18 | ელენე ნიკოლაიშვილი | ა(ა)იპ - ჯიპა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | III |
| 19 | ანა დიაკონიძე | ა(ა)იპ - ჯიპა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი | III |
| 20 | ვაჟა ვარდიძე | შპს - სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი | რექტორი | IV-V |
| 21 | ლია გელაშვილი | შპს - სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი | ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანაშემწე | IV-V |
| 22 | ნინო წიქვაძე | შპს - სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი | ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი | IV-V |
| 23 | თეიმურაზ ბუაძე | შპს - სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი | თეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი | IV-V |
| 24 | გოჩა ბარნოვი | შპს - სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი | დეკანი | IV-V |

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25 | დიმიტრი გეგენავა | შპს - სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი | პროფესორი | IV-V |

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

| № | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|
| 1 | გოჩა თუთბერიძე | | I |
| 2 | მანანა ლობჟანიძე | | I |
| 3 | მაია ჭინჭარაშვილი | | I |
| 4 | ლაშა გიორგაძე | | I |
| 5 | ნინო პოპიაშვილი | | II |
| 6 | თინათინ კიღურაძე | | II |
| 7 | ელენე სეთურიძე | | III |
| 8 | ემზარ ჯგერნაია | | III |
| 9 | ვლადიმერ ნარსია | | IV- V |

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) $27^2$ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**სხდომის დღის წესრიგის პროექტი**

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3 ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „სოციოლოგიის„ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „თეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
5. შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „თეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

✓ არა

**დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი**

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3 ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „სოციოლოგიის„ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „თეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
5. შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „თეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**1. პირველი საკითხი:** სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | მცირე ბიზნესის მართვა |
| 2 | სტატუსი[2] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2012 წლის 08 ნოემბერი, №624<br>2018 წლის 28 ნოემბერი, №174 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3] | მცირე ბიზნესის მართვა |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[4] | მაგისტრატურა |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[5] | მეშვიდე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6] | „----„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და |

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| | | ადმინისტრირება |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[7] | 0413 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 13 | განხორციელების ადგილი[8] | საქართველო 2100, ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას №14 |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9] | - |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სალომე თოთიბაძეს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა**

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოედგინათ მათი პოზიცია.

---

[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად, მათი ვიზიტი 2019 წლის 13 ნოემბერს განხორციელდა. მისი თქმით, ვიზიტამდე ექსპერტები გაეცნენ საგანმანათლებლო პროგრამასა და თანდართულ დოკუმენტაციას. როგორც მან აღნიშნა, საგანმანათლებლო პროგრამა რეგიონული ბაზრის კვლევის საფუძველზეა შემუშავებული, ვინაიდან უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გამოკითხა ადგილობრივი მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, ფინანსური შუამავლები, ტურიზმის სფეროს წარმომადგენლები და ამ ყველაფრის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამა.

ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი, კვალიფიციური პერსონალით, რომლებიც სწავლებაში არიან ჩართული, თუმცა, როგორც მან აღნიშნა, ექსპერტებს აქვთ გარკვეული რეკომენდაციები.

პირველი რეკომენდაცია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ფორმულირებას ეხება, რომელიც მართალია კვალიფიკაციათა ჩარჩოს ეყრდნობა, თუმცა ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასურველია მისი დაკონკრეტება, თუ რა კვალიფიკაციებს უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული. მისი თქმით, გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ხელმძღვანელებს ნათელი წარმოდგენა აქვთ, თუ რა კვალიფიკაციებს უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული, თუმცა უმჯობესია ყველაფრის საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვა.

შემდეგი რეკომენდაციაა, ის, რომ სწავლების მეთოდები სწავლის შედეგებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ექსპერტის განმარტებით, საჭიროა სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურა გადაიხედოს და განახლდეს. იმის გათვალისიწინებით, რომ „ფინანსური აღრიცხვის“ სასწავლო კურსი „მმართველობითი აღრიცხვის“ სასწავლო კურსის წინაპირობაა, ექსპერტს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მისი სასწავლო გეგმაში დამატება, რადგან მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვა არის ბუღალტრული აღრიცხვის შემადგენელი ნაწილები, ამასთან პირველი სასწავლო კურსი არის მეორე სასწავლო კურსის წინაპირობა. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს შემზღუდველი დაშვების წინაპირობა, დაშვება არის ფართო და შესაძლოა პროგრამაზე ისეთი სტუდენტიც მოხვდეს, რომელსაც ბიზნეს-ადმინისტრირების ან ეკონომიკის მიმართულებით ბაკალავრიატის ხარისხი არ აქვს. შესაბამისად, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, მათ გაუჭირდებათ „მმართველობითი აღრიცხვის“ სასწავლო კურსის სწავლა. მისი თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებს საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან ჰქონდათ დისკუსია. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, სილაბუსში, სავალდებულო ლიტერატურაში სილაბუსის ავტორის მიერ მომზადებული რიდერია მითითებული. ექპსერტს კი მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ინგლისურენოვანი ლიტერატურაც იქნეს შეთავაზებული, რადგან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა ინგლისურის B2 დონე. მან აღნიშნა, რომ ექსპერტები სამაგისტრო ნაშრომებსაც გაეცნენ, რომლებიც დაწესებულების მოთხოვნების შესაბამისადაა შესრულებული, თუმცა ლიტერატურა, რომელსაც სამაგისტრო ნაშრომები ეყრდნობა, მისი თქმით, გადახედვას საჭიროებს, რათა კვლევები სამეცნიერო სტატიებს და არა სახელმძღვანელოებს ან ინტერნეტ რესურსებს დაეყრდნოს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში საეჭვოა. მისი თქმით, ზოგიერთ ნაშრომში მითითება ვიკიპედიაზეც იყო.

რაც შეეხება რჩევებს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ მიერ გაცემული რჩევები სტუდენტთა გამოკითხვებს ეყრდნობა, რომელთა სურვილია უფრო მეტი არჩევითი საგანი ჰქონდეთ, მათ შორის „ფსიქოლოგიის“ სასწავლო კურსი, რომელიც ბიზნესისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწავლო კურსია.

საბჭოს თავმჯდომარე

_____

ხელმოწერა

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომამდგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია**

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფს მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისათვის. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა ის ძალისხმევა დაინახა, რაც საგანმანათლებლო დაწესებულებამ გასწია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, მან განმარტა, რომ „მცირე ბიზნესის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა რეაკრედიტაციის პროცესშია, მან გაიარა რამდენიმე შიდა და გარე მონიტორინგი, შიდა ხარისხის შეფასება. ყველა რეკომენდაცია, რომელიც ამ პერიოდამდე გაიცა, გათვალისწინებულია. მისი თქმით, აღნიშნული შეფასებებისა და მონიტორინგის შემდეგ, საგანმანათლებლო პროგრამა იმ დონეზე არის წარმოდგენილი, რომ ის აკრედიტაციის სტანდარტის ნორმებს შეესაბამება. მან ისიც აღნიშნა, რომ ექპერტების მიერ გაცემული რჩევა-რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამას კიდევ უფრო გააძლიერებს.

საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორმა მეთოდებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს განხილვებშია ჩართული, რომელიც ხარისხის სამსახურის ინიციატივით და საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ახალი კითხვარების საშუალებით მიმდინარეობს, სადაც ფორმულირებულია საგანმანათლებლო პროგრამა თუ რა ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი. როგორც მან აღნიშნა, მათ ისეთი თვითშეფასების ანგარიში წარადგინეს, რომელიც დღეის მდგომარეობით არსებობს. მასში მოცემულია კომპეტენციების რუკა, სასწავლო კურსების შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამების შედეგები, დადასტურებული კომპონენტებით.

მისი თქმით, რეკომენდირებული იყო მეთოდისა და შედეგების თანხვედრის სქემის გაკეთება, რაც გაითვალისწინეს. შედეგად მათ ის სასწავლო კურსებში ჩაშალეს და სილაბუსებიც შესაბამისად წარადგინეს. როგორც მან აღნიშნა, მათ ხარისხის სამსახურთან აქვთ უკუკავშირი, იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფორმატში მოხდეს სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების, მტკიცებულებების, მიზნებისა და შედეგების გადამკვეთი სქემების წარმოდგენა. რაც შეეხება ლიტერატურას, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ლიტერატურა ცოცხალი მექანიზმია და მუდმივად განახლებადია. როგორც მან აღნიშნა, უნივერსიტეტს მუდმივად აქვს მზაობა შეიძინოს და განაახლოს ლიტერატურა. მისი თქმით, უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული ჟურნალები და ბიბლიოთეკა მიმართულებას აძლიერებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა „მმართველობითი" და „ფინანსური" აღრიცხვის სასწავლო კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფინანსური" აღრიცხვის სასწავლო კურსს ის სტუდენტები გადიან, რომელთათვისაც აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა იყო გათვალისწინებული, თუმცა რეკომენდაციას გაითვალისწინებენ. მისი განმარტებით, იმისათვის, რომ სხვა სპეციალობიდან გადმოსული სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამას მაქსიმალურად მოერგოს, მათ აქვთ საკონსულტაციო საბჭო, ინდივიდუალური შეხვედრები, გრაფიკები, ასევე, როგორც მან აღნიშნა, იმისათვის, რომ არ მოხდეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგანზე გადაკვეთა, მათ შეუძლიათ აღნიშნული საგანი სხვა სახელწოდებით გადაიტანონ სპეციალურ არჩევით სასწავლო კურსებშიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა რიდერებში უცხო ენის მითითებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რიდერი უცხოენოვან ლიტერატურას თვითონ მოიცავს, თუმცა რეკომენდაციას გაითვალისწინებენ.

საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორმა ვიკიპედიის ნაწილთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შესაძლოა ტექნიკურ ხარვეზი არსებობს. მისი თქმით, პლაგიატის ნაწილში 15 უნივრსიტეტს, ერთად მნიშვნელოვანი თანამშრომლობა აქვთ. მან აღნიშნა, რომ თავად „აკადემიური წერის" ხელმძღვანელია და პირველივე კურსზე სტუდენტებს იმას ასწავლის, თუ როგორ მოიძიონ წყარო სწორად. რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, მისი თქმით, კურსის განმახორციელებლები ბოლომდე ფლობენ ინფორმაციას იმ

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

მიზნისა და იმ შედეგის შესახებ, რასაც კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს, თუმცა აღნიშნული აღწერილობის ნაწილში არ არის ასახული, რასაც დააზუსტებენ.

საბჭოს თავჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა „ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების" სასწავლო კურსის სილაბუსთან დაკავშირებით დამატებითი რეკომენდაცია გასცა. მისი თქმით, სილაბუსს გადახედვა სჭირდება, ვინაიდან მოცემული ლიტერატურა არის მოძველებული, ხოლო რიგ სალექციო კურსებთან მიმართებაში კი ლიტერატურა საერთოდ არ არის მითითებული. როგორც მან აღნიშნა, მე-2 და მე-3, ასევე მე-5 სალექციო კვირას მითითებულია მხოლოდ შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდის ლინკი, რომელიც ერთგვერდიანია. ასევე, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმის სალექციო საკითხთან დაკავშირებით, მითითებულია 2012 წლის ლიტერატურა, მაშინ, როდესაც აღნიშნულთან დაკავშირებით ცვლილება 2018 წელს განხორციელდა. ასევე, მისი თქმით, პირველ სალექციო საკითხთან მიმართებით ორი ლიტერატურაა მოცემული, ერთი ძველი, მეორე კი არარელევანტური, რადგან საკითხია სამეწარმეო სამართალი, ხოლო მითითებულია საგადასახადო კოდექსი, მაშინ, როდესაც სამეწარმეო სამართალთან დაკავშირებით არსებობს შედარებით უფრო სპეციალური კანონი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ საბჭოს თავმჯდომარის ქეთევან ქოქრაშვილის რეკომენდაციას

საბჭოს წევრი სერგო ჭელიძე დაინტერესდა, თუ რატომ არ იყო საგანმანათლებლო პროგრამა მოთხოვნადი. მისი თქმით, როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, სტუდენტების სურვილი მცირეა, მაგალითად 30 ადგილზე - 4 სტუდენტი მოხვდა, 40 ადგილზე - 10 და ა. შ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჩარიცხვის სურვილის მქონე სტუდენტთა რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე ჩარიცხულთა რაოდენობა, რადგან სტუდენტები გამოცდის შედეგად ირიცხებიან. მისი თქმით, ეს არის ბაზრის დაკვეთა. ასევე, როგორც მან აღნიშნა, გაიზარდა იმ სტუდენტების რაოდენობა, რომელთაც ბაკალავრის დამთავრების შემდეგ იმავე უნივერსიტეტში სურთ მაგისტრატურის გაგრძელება. როგორც დაწესებულების წარომადგენელმა აღნიშნა, სტუდენტების 35–40% ზუგდიდიდან, წალენჯიხიდან და გალიდან არინ. მისი თქმით, წელს, უნივერსიტეტში პირობითი ჩარიცხვის წესით 60 სტუდენტი ჩაირიცხა, ხოლო უგამოცდოდ - 18 სტუდენტი.

საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებს, იმისათვის, რომ სტუდენტები რეგიონში დარჩნენ და იქ მოღვაწეობდნენ.

საბჭოს წევრმა ექსპერტის ერთ-ერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომებში მითითებული მონოგრაფია არის სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ დისერტაცია სამეცნიერო ხასიათის სტატიას უნდა ეყრდნობოდეს, სახელმძღვანელო კი სამეცნიერო კვლევისთვის არ არის აუცილებელი, სტუდენტმა შემდეგ უნდა განახორციელოს ინტეგრირებული კვლევა. მისი თქმით, სწორედ აქედან გამომდინარე გაიცა რეკომენდაციაც.

საბჭოს წევრი თეა მჭედლური დაინტერესდა, თუ რატომ არ უნდა გამოიყენოს სტუდენტმა სახელმძღვანელო, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ სამაგისტრო ნაშრომი გულისხმობს კვლევის მეთოდოლოგიის (რაოდენობრივი, თვისობრივი მეთოდები) საფუძველზე კვლევის გახორციელებას, ასევე გულისხმობს ემპირიულ კვლევას, სადაც სტუდენტმა ძირითადად არა მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები უნდა გამოიყენოს, არამედ აღნიშნული მიმართულების სამეცნიერო სტატიები, სადაც აღწერილია სამეცნიერო მიღწევები, რის შედეგადაც ხარისხიანი სამაგისტრო ნაშრომები მიიღება.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, მონოგრაფია სერიოზული ნაშრომია და შესაძლოა სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას მისი გამოყენება.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ დაამატა, რომ ინგლისური მონოგრაფიები სწრაფად ქვეყნდება და ძირითადი სიახლეები სწორედ მასშია მოცემული, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ აღმოჩენები ძირითადად სამეცნიერო სტატიებში ქვეყნდება, ხოლო ბიზნესის სფეროში მონოგრაფია გაცილებით დაბალი ხარისხის არის, ვიდრე სამეცნიერო სტატია.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომები საბოლოოდ მონოგრაფიის სახით გამოიცემა. მისი თქმით, პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს ტენდენცია მიღებული იყო. ის თვლის, რომ მონოგრაფია არის საკმაოდ სერიოზული ნაშრომი.

**სათათბირო შესვენება**

დაწყების დრო - 16:30 სთ
დამთავრების დრო - 16:33 სთ

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მცირე ბიზნესის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭოს მიერ გაიცა დამატებითი რეკომენდაცია „ბიზნესის სამართლებრივი რეგულაციების" სილაბუსის მოწესრიგების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება**

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მცირე ბიზნესის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[10] | მცირე ბიზნესის მართვა |
| 2 | სტატუსი[11] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2012 წლის 08 ნოემბერი, №624<br>2018 წლის 28 ნოემბერი, №174 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[12] | მცირე ბიზნესის მართვა |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[13] | მაგისტრატურა |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[14] | მეშვიდე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[15] | „----„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[16] | 0413 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 13 | განხორციელების ადგილი[17] | საქართველო 2100, ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას №14 |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[18] | - |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

[10] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[11] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[12] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[13] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[14] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[15] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[16] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[17] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[18] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

**2. მეორე საკითხი:** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19] | ქართულ ენაში მომზადება |
| 2 | სტატუსი[20] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2012 წლის 16 ოქტომბერი, №558;<br>საქართველოს მთავრობის 2017 წლის 07 სექტემბრის №1881 განკარგულებით - 2018 წლის 31 დეკემბერი;<br>ცენტრის დირექტორის 2017 წლის 10 ოქტომბრის №646 ბრძანებით - 2019 წლის 31 დეკემბერი |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[21] | ქართულ ენაში მომზადება |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[22] | - |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[23] | - |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | - |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[24] | - |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | - |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[25] | - |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 60 |
| 13 | განხორციელების ადგილი[26] | საქართველო 0186, ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას №26 |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის | - |

[19] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[20] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[21] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[22] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[23] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[24] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[25] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[26] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| | წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[27] | |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სალომე თოთიბაძეს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა**

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ექსპერტთა ვიზიტი „ქართულ ენაში მომზადების“ 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად განხორციელდა. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულმა საგანმანათლებლო პროგრამამ პირველად აკრედიტაცია 2012 წელს გაიარა, ხელახალი აკრედიტაციის პერიოდი კი აკრედიტაციის სტანდარტში ცვლილებებს დაემთხვა. შესაბამისად, პროგრამა საფუძვლიანად გადამუშავდა, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამა გაიყო A და B ჯგუფებად და სტუდენტების ქართული ენის დონის დასადგენად ტარდება პრეტესტი, ასევე, შეთავაზებულია A და B ბლოკის შესაბამისი საგნები.
ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების უმეტესობას აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები შეადგენენ. მისი თქმით, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაციის კუთხით გააქტიურდეს მუშაობა, რათა მოხდეს სომხურენოვანი, ოსური და აფხაზურენოვანი სტუდენტების ჩართულობა.
ექსპერტის თქმით, წელს პირველად მოხდა ოსური და აფხაზურენოვანი სტუდენტის ჩართვა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიიდან გამომდინარე კი, სასურველია ამ მიმართულებით

[27] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში
საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

მუშაობის გააქტიურება. რაც შეეხება რჩევას, მისი თქმით, ის საგანმანათლებლო პროგრამის მეთოდებს ეხება, მაგალითად, სასურველია პრეტესტის დროს 51 ქულიანი ზღვრის მოხსნა, ვინაიდან, ის აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს. ასევე, ექსპერტის განმარტებით, სასურველია აუდირების დროს ჩანაწერები გამრავალფეროვნდეს, ყურადღება მიექცეს ინტერაქციას და ჯგუფურ მუშაობას.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია**

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ, გაწეული სამუშაოსათვის ექსპერტებს მადლობა გადაუხადა და რეკომენდაციებს დაეთანხმა. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამით მხოლოდ აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები ინტერესებოდნენ, იყვნენ სომხურენოვანი სტუდენტებიც, თუმცა ისინი სარეკლამო ღონისძიებების ჩატარებას ახალი ანკეტა-კითხვარების დამტკიცების შემდეგ გეგმავენ. რაც შეეხება ოსურ და აფხაზურენოვან სტუდენტებს, მისი თქმით, სამწუხაროდ, მათი მოთხოვნის დონე დაბალია.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ დღის წესრიგით განიხილეს პირველი, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც სტუდენტები გალიდანაც ჰყავთ, რაზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გალიდან ქართულენოვანი სტუდენტები ჰყავთ.

ექსპერტმა დააზუსტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მათ შორის გალის რაიონის ეთნიკურად ქართველ ან შერეული ოჯახის წარმომადგენელ სტუდენტებს ითვალისწინებს. თუ აბიტურიენტი აფხაზურ ენასა და ლიტერატურას ჩააბარებს, ის აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოხვდება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პოლიტიკურ პრობლემას აქვს ადგილი. მათთვის რთულია ისწავლონ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ზოგადად, საქართველოში არ არის მათი მხრიდან დიდი მოთხოვნა.

ექსპერტმა დააზუსტა, რომ აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი სტუდენტები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველად 2019 წელს ჩაირიცხნენ, შესაბამისად, მომავალში უფრო მეტი შესაძლებლობაა, რომ მათი რიცხვი გაიზარდოს. რაც შეეხება საქართველოს მასშტაბით მათ რაოდენობას, სხვადასხვა უნივერსიტეტებში მათი რაოდენობა დაახლოებით 10-მდე იყო.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მიუხედავად ამისა, მათი აქტივობა შეინიშნება, მაგალითად, განათლების დოკუმენტების აღიარებისას აფხაზეთში, რომელიც სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხდება.

საბჭოს წევრი სერგო ჭელიძე დაინტერესდა საგანმანათლებლო პროგრამაში 2 აფილირებული და 5 მოწვეული პერსონალი თუ რატომ იყო ჩართული. მისი აზრით, საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობისათვის უმჯობესია მეტი აფილირებული პერსონალის ჩართვა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიური პერსონალი ძირითადად უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კუთხითაა დასაქმებული, მოწვეული პერსონალი არის ისევ მათი პერსონალი, უბრალოდ ამ ეტაპზე მოწვეულის სტატუსი აქვთ. მისი თქმით, წინა წლებში ისინი აკადემიურ პოზიციებზე იყვნენ, მათგან ყველას დოქტორის ხარისხი აქვს.

ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ყველა უნივერსიტეტში აფილირებული პერსონალის ნაკლებობაა, რადგან პროგრამა 60 კრედიტიან ენის კურსებს მოიცავს. შესაბამისად, უფრო მეტად ენის სპეციალისტები არიან ჩართულნი, ვიდრე პროფესორები. გარდა ამისა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველად ორივე ჯგუფის შევსება 2019 წელს მოხდა, 50–50 ადგილი, რომელიც მთლიანად აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებს გადაუნაწილდა.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

**სათათბირო შესვენება**

დაწყების დრო - 16:45 სთ
დამთავრების დრო - 16:48 სთ

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება**

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-$3^1$ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[28] | ქართულ ენაში მომზადება |
| 2 | სტატუსი[29] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2012 წლის 16 ოქტომბერი, №558; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 07 სექტემბრის №1881 განკარგულებით - 2018 წლის 31 დეკემბერი; |

[28] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[29] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| | | ცენტრის დირექტორის 2017 წლის 10 ოქტომბრის №646 ბრძანებით - 2019 წლის 31 დეკემბერი |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[30] | ქართულ ენაში მომზადება |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[31] | - |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[32] | - |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | - |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[33] | - |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | - |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[34] | - |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 60 |
| 13 | განხორციელების ადგილი[35] | საქართველო 0186, ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას №26 |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[36] | - |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

[30] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[31] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[32] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[33] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[34] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[35] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[36] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

**3. მესამე საკითხი:** ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[37] | სოციოლოგია |
| 2 | სტატუსი[38] | აკრედიტებული |
